



4022-02-2-201510300957



N 02/4022

30/10/2015

ფრაქცია “ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის
მოადგილეს ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2015 წლის 21 ოქტომბრის N 9780/3-119 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ შესაბამის ინფორმაციას:

1. საქართველოს გაერთიანებულ ენერჯეტიკულ ბალანსში ბუნებრივი აირის წილი შეადგენს დაახლოებით 40%-ს. 2015 წლის განმავლობაში ბუნებრივ აირზე მოთხოვნა 2.4 მილიარდი კუბური მეტრია. ჯამურ მოხმარებაში მოსახლეობის წილი 28%-ია, თბოსადგურების 27%, ხოლო დანარჩენი 43 % კომერციული სექტორის მოხმარება.

კომერციული სექტორის მოთხოვნის უზრუნველყოფას ახდენს აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია სოკარი კომერციულ მომხმარებელთან გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში, ხოლო ე.წ. სოციალური სეგმენტის (მოსახლეობა და თბოსადგურები) მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება საქართველოს მთავრობასა და სოკარს შორის გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულების ფარგლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ სოციალური გაზის (2015 წელს 1.35 მილიარდი მ³) ძირითად წყაროს წარმოადგენს შაჰ-დენიზის კონსორციუმთან გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულებები (სამხრეთ კავკასიური მილსადენით გატარებული მოცულობის 5% და 500 მილიონი დამატებითი მოცულობის სახით, ჯამში დაახლოებით 750 მილიონი მ³-ის ფარგლებში), აგრეთვე სომხეთის ტრანზიტის შედეგად მიღებული ბუნებრივი აირის მოცულობა 200 მილიონი მ³-ის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი მოცულობის შევსება უზრუნველყოფილია სოკართან გაფორმებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით.

რაც შეეხება კომერციულ სექტორს, მიწოდების საქმიანობა სრულად დერეგულირებულია, რაც იძლევა კომერციულ მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ორმხრივ ფორმატში ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას ორივე მხარისთვის მისაღები პირობებით.

მოწოდების გეოგრაფიის გათვალისწინებით საქართველოს გაზომომარაგება (დაახლოებით 92%) ხდება აზერბაიჯანიდან ორი მილსადენის საშუალებით, ხოლო დანარჩენი 8 % რუსეთიდან ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენით.

მოსახლეობისთვის მისაწოდებელი სოციალური გაზის ფასი დღეისათვის შეადგენს 120 აშშ დოლარს 1000 მ³-ზე, ხოლო თბოსადგურებისთვის 143 აშშ დოლარს 1000 მ³-ზე. სოციალური სეგმენტისთვის სხვადასხვა კონტრაქტების ფარგლებში მიღებული გაზის ფასი წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. ჩვენი ინფორმაციით, კომერციული მომხმარებლებისათვის მიწოდების საშუალო ფასი 1000 მ³-ზე- 260 აშშ დოლარის ფარგლებშია.

აქვე ავღნიშნავთ, რომ პერიოდულად სომხეთის ტრანზიტის შედეგად მისაღები მოცულობების გარდა ხდება დამატებითი (კომერციული მიზნით) მოცულობების მიღება რუსეთიდან და სომხეთიდან მცირე მოცულობებით.

| | | 2012 | 2013 | 2014 | 2015* |
|--|-------------------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| სულ saqarTveloSi moxmarebuli ბუნებრივი აირი | mlnm³ | 1,969 | 1,912 | 2,177 | 2,403 |
| <i>მათ შორის:</i> | | | | | |
| <i>komerciuli</i> | mlnm ³ | 702 | 834 | 948 | 1,076 |
| <i>mosaxleoba</i> | mlnm ³ | 529 | 574 | 655 | 678 |
| <i>თბოელექტროსადგურები</i> | mlnm ³ | 739 | 505 | 575 | 650 |
| სულ saqarTveloSi მიწოდებული ბუნებრივი აირი | mlnm³ | 1,969 | 1,912 | 2,177 | 2,403 |
| <i>მათ შორის:</i> | | | | | |
| <i>რუსეთი სომხეთის ტრანზიტის საფასური ჩათვლით</i> | mlnm ³ | 229 | 196 | 266 | 200 |
| <i>აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია სოკარი</i> | mlnm ³ | 993 | 1,037 | 1,213 | 1,483 |
| <i>სამხრეთ კავკასიური მილსადენი</i> | mlnm ³ | 717 | 677 | 686 | 712 |
| <i>სხვა</i> | mlnm ³ | 30 | 2 | 12 | 8 |

შაპროგნოზი

2. როგორც ავღნიშნეთ საქართველოს გაზომომარაგება ხდება ორი დამოუკიდებელი მილსადენით აზერბაიჯანიდან (სამხრეთ-კავკასიური მილსადენი და სოკარის ოპერირების ქვეშ მყოფი ე.წ. ყაზახის მილსადენი) და ერთი მილსადენით რუსეთიდან. თუ გაზომომარაგების შეწყვეტის მიზეზია შაჰ-დენიზის საბადოზე ან მომწოდებელ მილსადენებზე მომხდარი ავარია (მაგალითად თურქეთში ამ წლის განმავლობაში 2-ჯერ მოხდა სამხრეთ-კავკასიური მილსადენის აფეთქება, გეგმიური სამუშაოების მიზნით ყაზახის მილსადენით შეწყვეტილი იყო გაზის მოწოდება 10 დღით. პერიოდულად ხდება შაჰდენიზის საბადოზე ავარიებიც რაც იწვევს მოკლე ვადით სამხრეთ-კავკასიური მილსადენიდან გაზის მიღების შეწყვეტას), ეს როგორც წესი დროებითი ხასიათისაა და სხვა არსებული წყაროებით, ხელშეკრულებების ფარგლებში ოპერატიულად ხდება დაბალანსება.

აზერბაიჯანიდან ხანგრძლივად გაზის მოწოდების შეფერხება ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა ფიზიკურად საქართველოს სხვა წყარო არ გააჩნია მოკლევადიან პერსპექტივაში გარდა

რუსეთისა. შესაძლოა ირანიდანც გაზის მიწოდება, რასაც მაგალითად მცირე მოცულობებით ადგილი ჰქონდა 2006 წელს, თუ რასაკვირველია შესაბამისი ინფრასტრუქტურა იქნება ხელმისაწვდომი.

3. როგორც თქვენთვის ცნობილია რეგიონში ირანი ნავთობის და გაზის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მომპოვებელი ქვეყანაა და ბუნებრივია მასთან თანამშრომლობა ჩვენთვის პერსპექტიულია. ორმხივი კომისიის ფარგლებში გამოითქვა მზადყოფნა ელექტროენერჯის და გაზის სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებით და დღეისათვის შესაბამისი უწყებების მიერ ხდება გაზითა და ელექტროენერჯით ვაჭრობის ტექნიკური შესაძლებლობების და ფინანსური პირობების მოკვლევა/შესწავლა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ირანული გაზის დასავლეთის ბაზრებზე მიწოდების პერსპექტივის განხილვა საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით.
4. ირანი-სომხეთი-რუსეთის მიმართულებით გაზის მიწოდების საკითხი არ განიხილება. ჩვენი აზრით პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საქართველოს გავლით ევროპის მიმართულებით გაზის ტრანსპორტირებას შავი ზღვის მეშვეობით და როგორც ავლნიშნეთ ამ მიმართულებით მიმდინარეობს შესაძლებლობების შეფასება. თურქეთიდან უკუდინებით საქართველოს გაზმომარაგება არ არის აქტუალური. დღეს ჩვენი პრიორიტეტი საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა, კასპიის რეგიონიდან დამატებითი მოცულობების ტრანსპორტირება დასავლეთის ბაზრებისკენ და სწორედ ამ პროექტების ფარგლებში ბუნებრივი აირის დამატებით მოცულობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.
5. განხორციელების ეტაპზეა სამხრეთ-კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შაჰ-დენიზის საბადოდან ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის მოცულობების წლიურად 22 მილიარდამდე გაზრდას. შედეგად, არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს შესაძლებლობა ექნება 2019 წლიდან დამატებით მიიღოს ბუნებრივი აირი (ტრანზიტის 16 მილიარდი მ³-ით გაზრდის შემთხვევაში 800 მილიონი მ³) გატარებული მოცულობის 5%-ის ოდენობით შეღავათიან ფასად.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ევროკავშირის მხრიდან თურქმენული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების მიზნით სამხრეთის გაზის დერეფნის მეშვეობით. კერძოდ ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის საკითხი. ასევე აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით არსებული და დამატებით საჭირო ინფრასტრუქტურის შეფასება. ხუთი მხარის (თურქმენეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი და ევროკავშირი) მონაწილეობით ბრიუსელში შედგა პირველი სამუშაო შეხვედრა. პროექტის განვითარების პერსპექტივებსა და კონკრეტულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ველოდებით ევროკავშირის წინადადებებს.


6. სომხეთის მიმართულებით ტრანზიტის გაზრდის შემთხვევაში საქართველო დღეს მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში მიიღებს გაზრდილი მოცულობის 10%. სომხეთის ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის მიწოდება ხდება სოციალური სეგმენტისთვის. აღნიშნული გაზის მონეტიზაცია ხდება მთავრობის გადაწყვეტილებით და არ არის საჯარო ინფორმაცია. თუმცა აქვე ავლნიშნავთ, რომ ზოგადად მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების ფასი დღეისათვის 120 აშშ დოლარია, ხოლო თბოსადგურებისთვის 143 აშშ დოლარი 1000 მ³-ზე.

ყოველწლიურად საქართველოს მოხმარების ზრდა გაცილებით დიდია, ვიდრე სომხეთის ტრანზიტით მიღებული დამატებითი გაზის მოცულობები. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანის წილი ქვეყნის გაზომომარაგებაში ამ ფაქტორის გამო არ შემცირდება ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანიდან შესაძლებელი იქნება საჭირო მოცულობების სრულად მოწოდება. ზოგადად არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში მოცულობების ცვლილების ფაქტორს ფასზე ზემოქმედება არ აქვს.

7. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სოციალური სეგმენტის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით სოკართან გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულება 2009 წლიდან. სახელმწიფო გაზპრომიდან კომერციული სექტორისთვის ამ ეტაპზე არ გეგმავს ბუნებრივი აირის შესყიდვას, რადგან კომერციული სექტორი დერეგულირებულია და კომერციულ მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ მომწოდებელი და გააფორმონ ორმხრივი ხელშეკრულება ორივე მხარისთვის მისაღები პირობებით.
8. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე არ იგეგმება სახელმწიფოს მიერ გაზპრომიდან კომერციული გაზის შესყიდვა, პოლიტიკური რისკების მონეტიზაციის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. თუმცა გაზპრომის საქართველოს ბაზარზე შემოსვლის შემთხვევაში არსებობს მეთოდოლოგია ე.წ. stress tests, რომელიც გამოყენებული იქნა ენერგეტიკული გაერთიანების სხვადასხვა ქვეყნების რუსეთიდან მოწოდებული ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების შეფასების მიზნით. საქართველოც იყო ჩართული ამ პროცესში და დღევანდელი ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით რისკები მინიმალურად შეფასდა.
9. 2030 წლისათვის ბუნებრივ აირზე მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება ისევ შესაძლებელი იქნება გრძელვადიანი ხელშეკრულებების ფარგლებში (სამხრეთკავასიური მილსადენი), ხოლო რეგიონში არსებული რესურსული ბაზის გათვალისწინებით შესაძლებელია როგორც აზერბაიჯანიდან, ასევე რუსეთიდან, თურქმენეთიდან და ირანიდან გაზის მიღება, იმის გათვალისწინებით, რომ იმ მომენტისთვის იარსებებს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კონკურენტული გარემო.
10. გაზის სექტორში მოთხოვნა მიწოდების ეფექტურად დაბალანსების და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდის კუთხით იგეგმება მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა დაახლოებით 150-200 მილიონი მ³ აქტიური მოცულობით. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების მომზადებას ახორციელებს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. დადებითი რეკომენდაციების შემთხვევაში გაზსაცავის მშენებლობის დაწყება იგეგმება 2017 წლის დასაწყისში, ხოლო ექსპლუატაციაში გაშვება 2019 წლის ბოლოსთვის.
11. ბუნებრივ აირზე მზარდი მოთხოვნის ტენდენცია მთელ მსოფლიოშია და მით უმეტეს ზრდის ტემპი შედარებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული პროგნოზიც ამასვე ადასტურებს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარალელურად ნაკლებ სავარაუდოა გაზზე მოთხოვნის შემცირება, თუმცა ეფექტური ხარჯვის მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. კერძოდ, აშენდა მაღალ-ტექნოლოგიური ეფექტური თბოელექტროსადგური გარდაბანში 238 მგვტ დადგმული სიმძლავრით (მქვ 52-53 %), რომელიც 1000 მ³ გაზით 40%-ით მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

ზოგადად ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელი იქნება ენერგოინტენსივობის შემცირება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. გარდა ამისა, ადგილობრივი განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისება და მიწოდების წყაროების, მარშუტებისა და მომწოდებლების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანად ამაღლებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ხარისხს.

პატივისცემით,
მარიამ ვალიშვილი



მინისტრის მოადგილე

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო